დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

"საჯარო მმართველობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2024 წლის 16 ოქტომბერი

2025 წლის 3 თებერვალი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	400028849
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალი ალექსანდრა გურვიც - სუტსი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, OGP IRM, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ბერიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ალექსანდრე კალანდაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საჯარო მმართველობა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Public Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ახალი პროგრამა შემუშავებულია შრომის და განათლების მიმდინარე ტენდენციების, დარგში არსებული ხედვების და მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზის გათვალისწინებით, ძირითადი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით.

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს და გადანაწილებულია 3 აკადემიურ წელზე (6 სემესტრი). პროგრამა შედგება: I. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებისგან (24 კრედიტი), II. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსებისგან (6 კრედიტი), III. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებისგან (135 კრედიტი) და IV. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსებისგან (15 კრედიტი). პროგრამის სწავლების ენაა ქართული, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია საჯარო მმართველობის ბაკალავრი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 16 ოქტომბერს თბილისში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ყოვლისმომცველი თვითშეფასების ანგარიში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, როგორიცაა: პროგრამა და სილაბუსები, ფაკულტეტის ბიუჯეტი, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის ადმინისტრაციას, პროგრამის მმართველ გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ასევე, განხორციელდა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან. ყველა მონაწილე თანამშრომლობდა ექსპერტთა ჯგუფთან და ერთვებოდა ღია და კონსტრუქციულ დისკუსიებში. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის წარმოდეგნის და გასაუბრებების შესახებ დაკმაყოფილდა სწრაფად და პროფესიონალურად.
ექსპერტთა ჯგუფი გულწრფელ მადლობას მოახსენებს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისთვის, დამატებითი მოსაზრებების, უკუკავშირის წარმოდგენის მზაობისთვის და ვიზიტის დროს მეგობრული და პროდუქტიული ატმოსფეროს შექმნისთვის.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და შეაფასა უნივერსიტეტის მიერ როგორც ვიზიტამდე, ისე ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გააანალიზა გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შეფასებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით შეიქმნა დადებითი შთაბეჭდილება. ზოგადად, პროგრამა სრულად შეესაბამება 2-5 სტანდარტებს და მეტწილად შეესაბამება პირველ სტანდარტს. შესაბამისობის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დასკვნაში.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ჩამოყალიბდეს გამჭვირვალედ და ყველასთვის გასაგებად.
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის პოლიტიკის განზომილება პოლიტიკის ანალიზის სპეციალური კურსის მეშვეობით.
- რეკომენდებულია, განხორციელდეს კვლევის მეთოდების კურსის რესტრუქტურიზაცია. კერძოდ, გაფართოვდეს პროგრამული ანალიზის სწავლება Excel - ის და SPSS - ის გამოყენებით. აეევე, შესაძლებელია მხოლოდ Excel - ის ან SPSS - ის პრაქტიკული სწავლება, სადაც მინიმუმ 2 - 3 ლექცია დაეთმობა პრაქტიკულ გამოყენებას.
- რეკომენდებულია, ძირითადი ლიტერატურის გამრავალფეროვნება და ძირითად საკითხავ მასალაში პოლიტიკის შემთხვევების შესწავლის გათვალისწინება.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიზანში გამოიკვეთოს სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტი.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განმასხვავებელი და უნიკალური მახასიათებლების უკეთ წარმოჩენის მიზნით გადაიხედოს სწავლის შედეგები.
- სასურველია, პროგრამის სიცხადის და სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედოს და გადაეწყოს არსებული კრედიტების განაწილების სტრუქტურა. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია თავისუფალი კომპონენტის სტრუქტურის გამარტივებით, კერძოდ, თავისუფალი სავალდებულო კურსების (აკადემიური წერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინგლისური) გადატანით ძირითადი საფუძვლების კურსებში ან ძირითად არჩევით კურსებში, იმის მაგივრად რომ წარმოდგენილი იყოს შეცდომაში შემყვანი თავისუფალი კურსების სტსტაუსით.

- სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს აღწერითი სტატისტიკის კურსი, როგორც კვლევის მეთოდების წინაპირობა.
- სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების თემები.
- სასურველია, შეიცვალოს "ინოვაციური მენეჯმენტის" კურსის სახელწოდება და ეწოდოს "ინოვაციათა მენეჯმენტი".
- სასურველია, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შესწავლილი და შეთავაზებული იქნეს ვირტუალური მობილობის შესაძლებლობები.

- სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლები, რათა დროულად გაუზიაროს რეკომენდაციები ან წინადადებები პერსონალს და პროფესორ-მასწავლებლებს. შეფასების შედეგების განხილვა და გამოყენება მნიშვნელოვანია მუდმივი გაუმჯობესებისთვის. რეგულარული, დეტალური უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და ძალისხმევის შესაბამისობას დაწესებულების მიზნებთან.
- რეგულარულად ჩართულ საერთაშორისო გარე ექსპერტებს შეუძლიათ შემოგთავაზონ მრავალფეროვანი პერსპექტივები, რაც ხელს შეუწყობს დარგის სტანდარტებთან და გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან პროგრამის შესაბამისობას. აღნიშნული უწყვეტი წვლილი ხელს შეუწყობს პროგრამის შესაბამისობას და მუდმივ გაუმჯობესებას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და გადაწყვიტა სტატისტიკის კურსთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადაიტანოს რჩევებში. ასევე, მცირედი ტექნიკური შესწორება განხორციელდა 1.4 კომპონენტში, რამაც გამოიწვია როგორც აღნიშნული კომპონენტის, ისე სრულად პირველი სტანდარტის შეფასება „მეტწილად შესაბამისად“. რაც შეეხება სხვა კომენტარებს, ჩვენი პოზიცია რჩება უცვლელი.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნებია:

სტუდენტებისთვის ფართო თეორიული ცოდნის მიწოდება საჯარო მმართველობის ორგანიზების, საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის/კოორდინირების, საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის, საჯარო მომსახურების მართვის, საჯარო ფინანსების მართვის, ასევე ანგარიშვალდებულების და კეთილსინდისიერების შესახებ;

საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გამოვლენის უნარის განვითარება, საჯარო მმართველობის საიმედოობაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორების ამოცნობა და აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენება;

საჯარო მმართველობის სფეროსთვის დამახასიათებელი აბსტრაქტული მონაცემების და/ან სიტუაციების მოძიების, შეგროვების, დამუშავების და განმარტების უნარის განვითარება, მმართველობითი გადაწყვეტილებების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების პროექტების შემუშავება,

საჯარო მმართველობის სფეროში ადამიანური რესურსების სტრატეგიების მართვა და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, აკადემიური კეთილსინდისიერების და ეთიკის პრინციპების დაცვით საჯარო მმართველობის აქტუალურ საკითხებზე კვლევების ან პრაქტიკული პროექტების განხორციელება;

საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პროცესების ანალიზის, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების და საკუთარი იდეების, დასკვნების და არგუმენტების გადმოცემის უნარის განვითარება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; საკუთარი ქმედებების ეთიკური პრინციპების შესაბამისად განხორციელება, საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და ხელშეწყობა და ცოდნის მუდმივი განახლება "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის" პრინციპის შესაბამისად.

უსდ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, "საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ქართული და მსოფლიო კულტურული ღირებულებების გათვალისწინებით ქმნის საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ეფუძნება კეთილსინდისიერებას ყველა სასწავლო და კვლევითი საქმიანობისთვის. ეხმარება სტუდენტებს და პერსონალს აკადემიურ, მორალურ და სამოქალაქო განვითარებაში, მაღალი ხარისხის სწავლების, სამეცნიერო კვლევის და თანამშრომლობის უზრუნველყოფით. შეაქვს წვლილი ქართულ და ფართო საზოგადოებაში სიბრძნით და ღირსებით." (https://eeu.edu.ge/sample-page-2/plan-of-development/?lang=en). 2019 - 2025 წლების უახლესი სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს: მიმზიდველობის გაზრდა; კვლევის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია, რაც შეესაბამება მისიას ხარისხიანი განათლების მიწოდების და საზოგადოებაში წვლილის შეტანის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ცხადია, რომ შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია საჯარო მმართველობის სწავლის სფეროს სპეციფიკის და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის გათვალისწინებით. ისინი ასევე მჭიდროდ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს. საჯარო მმართველობის სფეროში ყოვლისმომცველი ცოდნის მიწოდებით, კვლევითი შესაძლებლობების ხელშეწყობით, მონაცემთა ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების უნარების გაძლიერებით და ეთიკური კომუნიკაციის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხაზგასმით, პროგრამა მხარს უჭერს უნივერსიტეტის მიზანს ჩამოაყალიბოს აკადემიურად და მორალურად პასუხისმგებელი პროფესიონალები. აღნიშნული შესაბამისობა დემოსნტრირებს უსდ-ს ერთგულებას ხარისხიანი განათლების მიწოდების, საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის მიმართ. აღნიშნული ეხმარება კურსდამთავრებულებს საჯარო მმართველობის რთული საკითხების გადაჭრაში და ქართულ საზოგადოებაზე და მის ფარგლებს გარეთ დადებითი გავლენის მოხდენაში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგად არის განსაზღვრული და რეალურად ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულებმა უნდა შეიძინონ სწავლის დასრულების შემდგომ. ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ აღნიშნული მიზნები ჩამოყალიბდა ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებების და საჯარო მმართველობის სფეროში არსებული უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით. ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ მიუღია აკრედიტაცია, ამჟამად მის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ვებ - გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია;
- შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვებ - გვერდი;
- შეფასებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

○ არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების მიზანში გამოიკვეთოს სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	x	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზანს და განსაზღვრავს ცოდნას, უნარებს, ასევე თვითგანვითარებას და პასუხისმგებლობას, რომელსაც სტუდენტი იძენს სასწავლო ციკლის ბოლოს ადგილობრივი კანონმდებლობის და რეგულაციების, ასევე ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 მუხლის შესაბამისად, სადაც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღმწერი განსაზღვრავს შესაბამის დონეზე მისაღწევი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მოცულობას შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით:

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება;

გ) დასკვნის გაკეთების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები.

სწავლის შედეგები წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული უნარების კარგ კომბინაციას, რომელიც სტუდენტებს მოეთხოვებათ სწავლის დასრულებისას. ისინი მიღწევადია და მხარდაჭერილია სასწავლო კურსის შინაარსით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები არის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში მოცემული შედეგების მსგავსი. შესაბამისად, სასწავლო პროგრამის განმასხვავებელი ხასიათის გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია სწავლის შედეგების გადახედვა და გადასინჯვა, რაც გამოკვეთს სასწავლო პროგრამის უნიკალურ მახასიათებლებს და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო ბაზარზე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მის მიზანს და განსაზღვრავს ცოდნას, უნარებს, მოვალეობებსა და ავტონომიურობის ხარისხს, რომელსაც სტუდენტები მიაღწევენ სწავლის დასრულებისას. აღნიშნული სწავლის შედეგები შემუშავებულია შრომის ბაზრის თანამედროვე დინამიკის გათვალისწინებით და ეფუძნება დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის, როგორიცაა დამსაქმებლები, აკადემიური ექსპერტები, მოქმედი

სტუდენტები და კურსდამთავრებულები, მნიშვნელოვან უკუკავშირს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის რეგულარული გადახედვის მექანიზმი და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას მათი მიზნების და საგანმანათლებლო მიღწევების შესახებ, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.

საგანმანათლებლო მიდგომა ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს თანამედროვე სამეცნიერო პროგრესს და მის რეალურ გამოყენებას შორის, რაც ასახავს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას. ის ასევე პასუხობს შიდა დაინტერესებული მხარეების სურვილებს, რაც სტუდენტებს აძლევს სხვადასხვა არჩევითი კურსებიდან არჩევანის გაკეთების საშუალებას. საგანმანათლებლო მიღწევები შეესაბამება არსებულ რეგულაციებს, თანხვედრაშია საგანმანათლებლო მიზნებთან და შესაბამისია იმ სფეროებისთვის, რომლებშიც კურსდამთავრებულები განავითარებენ კარიერას. ისინი შექმნილია რეალისტურად და ითვალისწინებს შეფასების ჩარჩოს, რომელიც მოიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის ბრძანება N69 / ნ "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ";
- ეროვნული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შეფასებული პროგრამის სასწავლო გეგმა;
- ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან გასაუბრების დროს მიღებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები: არ არის მითითებული:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის განმასხვავებელი და უნიკალური მახასიათებლების უკეთ წარმოჩენის მიზნით გადაიხედოს სწავლის შედეგები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების პროცესი სტრუქტურირებულია. უნივერსიტეტი ითვალისწინებს "საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელოს", რომელიც აღწერს პროგრამის დასახული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის პროცედურებს. აღნიშნული შედეგები ორიენტირებულია ცოდნაზე, უნარებზე, პასუხისმგებლობაზე და დამოუკიდებლობაზე, რომელთა განვითარებაც მოსალოდნელია სტუდენტებისგან სწავლის დასრულებისას.

აღნიშნული შედეგების მონიტორინგის მიზნით, პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმის რუკას. აღნიშნული რუკა ასახავს დონეებს, რომლებზეც თითოეული სწავლის შედეგი მიიღწევა კურსების და კომპონენტების მიხედვით, გაცნობითი ეტაპიდან დაწყებული გაძლიერებულ ეტაპებამდე და განსაზღვრავს, თუ რომელი აქტივობები ეხმარება სტუდენტებს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის ყველა ასპექტის შესაბამისობას დასახულ შედეგებთან და ხელს უწყობს სტუდენტების პროგრესს ცოდნის, უნარების და ავტონომიურობის მიმართულებით.

პროგრამის განვითარების კომიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების პერიოდული გადახედვის შეფასების გეგმა. აღნიშნული გეგმა დეტალურად აღწერს სამიზნე ნიშნულებს, შეფასების დროს, მეთოდებს და კრიტერიუმებს, აქცენტს აკეთებს სწავლის შედეგების გაძლიერებაზე, რომლებიც ძირითადად იზომება პრაქტიკული სწავლების და საბაკალავრო ნაშრომის დაცვის მეშვეობით.

შეფასება ხორციელდება იმ სემესტრში, სადაც სრულდება გაძლიერებული კომპონენტები, როგორც ეს მითითებულია სასწავლო გეგმის რუკაში.

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებები ეყრდნობა ხელშესახებ მიღწევებს, როგორიცაა პრაქტიკული სწავლება და ნაშრომის დაცვა, ხოლო არაპირდაპირი შეფასებები სტუდენტებისგან, დამსაქმებლებისგან და კურსდამთავრებულებისგან აგროვებს ინფორმაციას გამოკითხვების და თვითშეფასებების მეშვეობით. ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალითვის პერიოდულად ტარდება ტრენინგები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიმუშავონ, გაზომონ და შეაფასონ დასახული სწავლის შედეგების მიღწევა.

ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული უნდა იყოს სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში და მუდმივად უნდა იღებდეს განახლებულ ინფორმაციას მათი შეფასებების შედეგების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ შეფასებულია ყველა მონაწილის წვლილი და წახალისებულია ეფექტური სასწავლო მიზნების მიღწევის საერთო ვალდებულება.

ვინაიდან პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები, აღნიშნული შეფასების ჩარჩო არსებობს უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ყოველ სემესტრში ხორციელდება სტუდენტების მოსწრების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი პროგრამის გაუმჯობესების პოტენციური სფეროების გამოვლენის მიზნით. გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალი ახორციელებს კონკრეტულ ცვლილებებს, ხოლო შემდგომ ფაკულტეტის და წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს შედეგებს და გეგმავს მაკორექტირებელ ქმედებებს. აღნიშნული სტრუქტურირებული მიდგომა ხელს უწყობს განათლების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და უზრუნველყოფს პროგრამის რეაგირებას სტუდენტების და ინდუსტრიის საჭიროებებზე.

თუმცა, ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პერსონალის ყველა წევრი არ ფლობს ინფორმაციას თუ როგორ მუშაობს ის, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას აღნიშნული მექანიზმი წარმოდგენილი იყოს გამჭვირვალედ და ყველასთვის გასაგებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და დანართები;

- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სახელმძღვანელო;
- გასაუბრებების დროს მიღებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ჩამოყალიბდეს გამჭვირვალედ და ყველასთვის გასაგებად.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი გეგმავს "საჯარო მმართველობის" 3 წლიანი, 180 კრედიტის მოცულობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას. ახლახანს შემუშავებული პროგრამა შექმნილია უნივერსიტეტის "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და დამტკიცების" სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც აღწერს პროგრამის შემუშავების ძირითად ეტაპებს და პროცედურებს უნივერსიტეტის და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის

შემუშავების პროცესი დაიწყო ბაზრის კვლევით და დაინტერესებული მხარეების ანალიზით, დამსაქმებლებისგან, კურსდამთავრებულებისგან და მოქმედი სტუდენტებისგან ინფორმაციის შეგროვებით. კვლევის ეტაპის შემდგომ, ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომიტეტმა შეიმუშავა სასწავლო გეგმა, რომელიც შემდეგ განიხილა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა. პროგრამა საბოლოოდ დამტკიცდა პირველ რიგში ფაკულტეტის საბჭოს, შემდგომ კი უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. გასაუბრებებისას პროცესში ჩართულმა ყველა მხარემ დაადასტურა მათი მონაწილეობა პროგრამის შემუშავების ეტაპებში.

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს სემესტრულად და წლიურად კრედიტების განაწილების თვალსაზრისით, მათ შორის სავალდებულო და არჩევითი კურსების ჩათვლით, როგორც ეს განსაზღვრულია მე - 3 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით. პროგრამა მოიცავს 3 აკადემიურ წელს (6 სემესტრი) და შედგება 180 კრედიტისგან, წელიწადში განსაზღვრულია 60 კრედიტი, ხოლო სემესტრში 30 კრედიტი. პროგრამის თითოეულ სასწავლო კურსს განსაზღვრული აქვს კრედიტების რაოდენობა, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. საკონტაქტო საათებს და დამოუკიდებელ სწავლებას შორის ბალანსი განისაზღვრება თითოეული კურსის სპეციფიკის მიხედვით. დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა განისაზღვრება თითოეული კურსის ფარგლებში სხვადასხვა დავალებებით, როგორიცაა ესეები, კვლევითი ნაშრომები, პრეზენტაციები და საკურსო ნაშრომები.

პროგრამის ფარგლებში 180 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად:

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავისუფალ კომპონენტს 30 კრედიტის მოცულობით:

- 24 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი სავალდებულო კურსებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია აკადემიური წერის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინგლისური ენის ფუნდამენტური უნარების განვითარებაზე.

- 6 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ხუთი შესავალი კურსიდან: სოციოლოგია, ფილოსოფია, დემოკრატია და მოქალაქეობა, სამართალი ან პოლიტიკური ფსიქოლოგია.

პროგრამის ძირითადი კომპონენტი შედგება:

- 135 კრედიტისგან, რომელიც ეძღვნება საჯარო მმართველობაში პროფესიული ცოდნის და უნარების განვითარებას.

- დამატებით, სტუდენტებმა არჩევითი კურსების ფარგლებში უნდა დააგროვონ 15 კრედიტი, რომელთა არჩევაც შესაძლებელია ჯამში 120 კრედიტის მოცულობის მქონე კურსების ჯგუფიდან.

მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებების დროს განხილულ იქნა და დაზუსტდა კრედიტების განაწილება, თავისუფალი კომპონენტის სტრუქტურა, ძირითად და არჩევით კურსებთან ერთად მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს, რაც სტრუქტურაში ქმნის ორაზროვნებას, ვინაიდან თავისუფალი კომპონენტი რჩება სავალდებულოდ. მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება უმჯობესი იყოს აღნიშნული სავალდებულო და თავისუფალი კურსების ორგანიზების ან სახელწოდებების გადახედვა და რეფორმულირება.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას გააჩნია თავისებური სტრუქტურა კრედიტების განაწილების თვალსაზრისით, მისი შინაარსი ზედმეტად მკაცრად მიჰყვება დარგის მინიმალური სტანდარტის მოთხოვნებს. სასწავლო გეგმას აკლია განმასხვავებელი მახასიათებლები ან სპეციალიზებული ორიენტაციის სფეროები ("ინდივიდუალობა", როგორც ეს აღნიშნულია ინდიკატორში), რაც მას გამოარჩევდა სხვა პროგრამებისგან. მინიმალური დარგობრივი მახასიათებლის დაკმაყოფილებაზე ორიენტაციით, პროგრამამ შეზღუდა თავისი შესაძლებლობა განავითაროს უნიკალური ძლიერი მხარეები ან სპეციალიზებული კონცენტრაციები საჯარო მმართველობის ფარგლებში, რაც მას მიანიჭებდა კონკურენტულ უპირატესობას.

პროგრამის შინაარსი ლოგიკურად არის სტრუქტურირებული. მასში სწავლის ადრეულ ეტაპზე გათვალისწინებულია საფუძვლების კურსები, ხოლო უფრო რთული და გაძლიერებული საგნები ეტაპობრივად ისწავლება მომდევნო წლებში. პირველი და მეორე სემესტრის განმავლობაში, პროგრამაში ისწავლება ზოგადი და საფუძვლების კურსები, მათ შორის შესავალი კურსები საჯარო მმართველობაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, ეკონომიკაში, მენეჯმენტში და კონსტიტუციურ სამართალში (სახელმწიფო მოწყობის სამართალი). მესამე სემესტრიდან მოყოლებული, პროგრამა რთულდება ეტაობრივად. მეორე და მესამე წელს სტუდენტები შეისწავლიან უფრო რთულ და ყოვლისმომცველ საგნებს, როგორიცაა ადმინისტრაციული სამართალი, საჯარო ფინანსები, სტრატეგიული მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები, საჯარო პოლიტიკა, საჯარო სამსახურის მართვა, ელექტრონული მმართველობა და ა.შ. მე-6 და ბოლო სემესტრში სტუდენტებმა უნდა დაასრულონ სავალდებულო პრაქტიკა (სტაჟირება) და საბაკალავრო ნაშრომი, ასევე უნდა დააგროვონ 15 კრედიტი დარგის სპეციფიკური არჩევითი კურსების მრავალფეროვანი ჯგუფიდან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიჰყვნენ სპეციალიზებულ ცოდნას მათი პროფესიული ინტერესების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტები ძირითადად შეესაბამება კურსის სილაბუსებში მითითებულ სამუშაო დატვირთვას და შესაფერისია პროგრამის საერთო

აკადემიური მოთხოვნებისთვის. თითოეულ კურსში განსაზღვრულია დამოუკიდებელი და სალექციო საათები, რომლებიც ასახავს მის სპეციფიკურ ხასიათს. კურსები ხორციელდება 16 კვირა, მე-8 და მე -9 კვირა განკუთვნილია შუალედური გამოცდებისთვის, ხოლო მე-17 და მე-19 კვირა საბოლოო გამოცდებისთვის.

თუმცა, შინაარსობრივად სასწავლო გეგმაში იკვეთება მნიშვნელოვანი ხარვეზები. დარგის მულტიდისციპლინური ხასიათის ასახვით, პროგრამა მოიცავს მმართველობით, სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს. პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საკანონმდებლო განზომილებაზე, რომელიც წარმოდგენილია 6 კურსში. ასევე ორ განსხვავებულ კურსში წარმოდგენილია პროფესიული ინგლისური, რაც შეეხება პოლიტიკის ასპექტებს მას მინიჭებული აქვს შედარებით ნაკლები ყურადღება და წარმოდგენილია მხოლოდ ერთი 5 კრედიტის მოცულობის მქონე სასწავლო კურსით. ამგვარად, მაშინ როცა პროგრამის ძირითადი საგნები მოიცავს ორ პროფესიული ინგლისურის კურსს და ორ ადმინისტრაციული სამართლის კურსს, პოლიტიკის განზომილება მნიშვნელოვნად მცირეა და შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კურსით, რომელიც ცდილობს მოიცვას საჯარო განზომილების ვრცელი სფერო. აღნიშნული ერთი კურსის ფარგლებში ივარაუდება პოლიტიკის პროცესების და ციკლების, პოლიტიკის ანალიზის და გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ინსტრუმენტების დაფარვა, რაც არარეალურია. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას აკლია ისეთი მნიშვნელოვანი თანამედროვე ელემენტები, როგორიცაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება და პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების საკოორდინაციო მიდგომები და ჩარჩოები. აღნიშნული მიჩნეულია პრობლემად, გამომდინარე იქედან, რომ ეს კომპონენტები წარმოადგენენ თანამედროვე პოლიტიკის შემუშავების ძირითად პრინციპებს, როგორც ეს განსაზღვრულია OECD - ის საჯარო ადმინისტრირების პრინციპებშიდა საჯარო მმართველობის 2023 - 2026 რეფორმის სტრატეგიაში. პოლიტიკის განზომილების არასათანადო დონეზე წარმოდგენა ხელს უშლის პროგრამის შედეგების მიღწევას. პროგრამის პოლიტიკის განზომილების გაძლიერების და დადგენილ სწავლის შედეგებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია საჯარო პოლიტიკის ანალიზის სპეციალური კურსის შემოღება ძირითადი საგნის სტატუსით. აღნიშნულმა კურსმა სტუდენტები უნდა უზრუნველყოს აუცილებელი პრაქტიკული გამოცდილებით, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას შეისწავლონ პრაქტიკული გამოყენებით პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიები. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს კურსების გათვალისწინების შეზღუდვებს 3 წლიანი პროგრამის ფარგლებში, თუმცა, ვინაიდან პოლიტიკის ანალიზი უზრუნველყოფს პოლიტიკის გადაწყვეტილებების შემუშავების ფუნდამენტური უნარების განვითარებას, აუცილებელია პროგრამაში მისი გათვალისწინება ინდივიდუალური კურსის სახით. არსებულ სასწავლო გეგმაში

ახალი კურსის გასათვალისწინებლად, შესაძლებელია გადაიხედოს ორი პროფესიული ინგლისური ენის კურსის განაწილება. პროფესიული ინგლისური ენის ორი კურსის განაწილების გადახედვით, შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს პოლიტიკის ანალიზის ახალ სასწავლო კურსს, რაც უკეთ წარმოაჩენს პროგრამის ძირითად მისიას, მოამზადოს კომპეტენტური საჯარო მმართველობის პროფესიონალები.

სასწავლო გეგმის კიდევ ერთ ხარვეზს წარმოადგენს მტკიცებულებებზე და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების არასათანადო დაფარვა, რაც სტატისტიკურ კონცეფციებში მყარ საფუძველს მოითხოვს. ტრადიციულ საჯარო მმართველობის პროგრამებში სტატისტიკა ჩვეულებრივ გათვალისწინებულია კვლევითი კურსების წინაპირობად, ვინაიდან ის უზრუნველყოფს რაოდენობრივი მონაცემების გაგების და აღქმის აუცილებელ საფუძველს. აღნიშნული ანალიტიკური შესაძლებლობა გადამწყვეტია მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად, პოლიტიკის შესამუშავებლად, პროგრამის სამართავად და შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია კვლევის მეთოდების კურსი, ის ვერუზრუნველყოფს ზოგადი აღწერითი სტატისტიკის დაფარვას. აღნიშნული ხარვეზი ზღუდავს რაოდენობრივი მონაცემების სათანადოდ გაგების და განმარტების შესაძლებლობას, რომ არაფერი ითქვას უფრო რთული მონაცემთა ანალიზის განხორციელებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის საერთო შედეგებს, საკითხავია თუ რამდენად შესაძლებელია რეალურად აღნიშნული შედეგების მიღწევა კურსის დონეზე. აღნიშნული განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს კვლევის მეთოდების და საჯარო პოლიტიკის კურსებისთვის, რომლებიც დეტალურად არის გაანალიზებული 1.5 კომპონენტის აღწერილობით ნაწილში.

პროგრამა ზოგადად თანხვედრაშია დარგში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო კვლევებთან, რაც დასტურდება უმეტესი სასწავლო კურსების სილაბუსებში ჩამოთვლილი საკითხავი მასალებით. თუმცა, ზოგიერთი კურსში სხვა კურსებისგან განსხვავებით არ არის გათვალისწინებული თანამედროვე ლიტერატურა და ინსტრუმენტები. აღნიშნული შეზღუდვა, როგორც ჩანს, გამოწვეულია ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების ნაკლებობით. ვინაიდან საჯარო მმართველობის თანამედროვე რესურსები ძირითადად ხელმისაწვდომია ინგლისურ ან სხვა უცხო ენაზე, შესაძლოა ენობრივი ბარიერი ზღუდავდეს კურსის ხელმძღვანელს გაითვალისწინოს უახლესი ლიტერატურა და სასწავლო მასალები.

პროგრამა სასწავლო გეგმის საერთაშორისო საჯარო მმართველობის ჩარჩოებთან შესაბამისობითდა სტუდენტებისთვის პროფესიული ინგლისური ენის სავალდებულო კურსების მიწოდებით ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად ელემენტებს. თუმცა, სასურველია გაძლიერდეს პროგრამის საერთაშორისო განზომილება, ვინაიდან ის საკმარისად არ მოიცავს საჯარო მმართველობის თანამედროვე გლობალურ ტენდენციებს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება და პოლიტიკის მონიტორინგის ჩარჩოები, რაც წარმოადგენს სტანდარტულ პრაქტიკას საერთაშორისო საჯარო მმართველობაში.

მიუხედავად იმისა, რომ "საჯარო მმართველობის" ახალი საბაკალავრო პროგრამა ჯერ არ ხორციელდება და შესაბამისად არ არის განთავსებული შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, ამავე ვებ-გვერდის მეშვეობით დაინტერესებული მხარეებისთვის საჯაროდ ხელმისაწვდომია მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები და რეგულაციები;
- საჯარო მმართველობის დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი;
- სილაბუსები;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიური პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს პროგრამის პოლიტიკის განზომილება პოლიტიკის ანალიზის სპეციალური კურსის მეშვეობით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სიცხადის და სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გადაიხედოს და გადაეწყოს არსებული კრედიტების განაწილების სტრუქტურა. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია თავისუფალი კომპონენტის სტრუქტურის გამარტივებით, კერძოდ, თავისუფალი სავალდებულო კურსების (აკადემიური წერა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინგლისური)

გადატანით ძირითადი საფუძვლების კურსებში ან ძირითად არჩევით კურსებში, იმის მაგივრად რომ წარმოდგენილი იყოს შეცდომაში შემყვანი თავისუფალი კურსების სტსტატუსით.

- სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს აღწერითი სტატისტიკის კურსი, როგორც კვლევის მეთოდების წინაპირობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული აკადემიური კურსის სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი სწავლის მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა, კომპონენტები, მისანიჭებელი ქულები, სწავლების მეთოდები, თითოეული ლექციის შინაარსი და სავალდებულო და დამატებითი საკითხავი მასალები. სწავლების მეთოდები მორგებულია კურსის ხასიათზე და მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემა სტანდარტიზებულია, სხვადასხვა კომპონენტებს შორის შეფასების კომპონენტები და ქულების განაწილება განსხვავდება კურსების მიხედვით, რაც შეესაბამება დადგენილ მიდგომას. ზოგადად, სწავლის შედეგები კარგად არის ჩამოყალიბებული, გაზომვადია და შეესაბამება კურსის თემას და პროგრამის საერთო შედეგებს.

კონკრეტული საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას შორის გადანაწილებული საათების რაოდენობა, შეესაბამება როგორც კურსის, ისე პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, ზოგიერთი კურსთან მიმართებით საკითხავია, თუ რამდენად შეძლებენ სტუდენტები რეალურად მიაღწიონ ყველა დასახულ სწავლის შედეგს.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა კვლევის მეთოდების კურსში. მაგალითად, მაშინ როცა მის ერთ - ერთ სწავლის შედეგში (შედეგი 5) აღნიშნულია, რომ სტუდენტები "გააანალიზებენ და დაამუშავებენ მონაცემებს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით (MS - Excel, SPSS და ა.შ.)", სილაბუსი ითვალისწინებს მხოლოდ ორ ლექციას რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის შესახებ. ამავე ლექციების განმავლობაში, მოსალოდნელია, რომ სტუდენტები ასევე გააცნობიერებენ ისეთ რთულ თემებს, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკა, ტრიანგულაცია, ცვლადების ურთიერთობები, მონაცემთა კოდირება, შინაარსის ანალიზი, Q მეთოდოლოგია და ა.შ. არარეალურია Excel - ში და SPSS - ში მონაცემთა ანალიზის შესწავლა ფუნდამენტური სტატისტიკური კონცეფციების სწავლების პარალელურად ასეთ შემჭიდროებულ ვადებში. განსაკუთრებულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული აღნიშნული ინსტრუმენტებით მნიშვნელოვანი პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფა სტატისტიკური კონცეფციების ფართო სპექტრის გათვალისწინებით 2 ლექციის ფარგლებში (კურსის მე-6 და მე-7 ლექცია). აღნიშნული საკითხი ასევე განხილულ იქნა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული გასაუბრების დროს, რომლის დროსაც აღინიშნა კურსის სტრუქტურის და შედეგების გადახედვის საჭიროება თანმიმდევრულობის და მიღწევადობის უზრუნველსაყოფად. ამ საკითხებისთვის უფრო მეტი დროის დათმობა უზრუნველყოფს საბაზისო კონცეფციებიდან პრაქტიკულ გამოყენებებამდე ლოგიკური პროგრესიას. იდეალურ შემთხვევაში, სტატისტიკა უნდა შემუშავდეს ცალკე კურსის სახით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს კვლევის მეთოდების წინაპირობას. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებდა დატვირთვას კვლევის ლექციაში, განსაკუთრებით რაოდენობრივი მიდგომების ნაწილში და შექმნიდა მეტ სივრცეს პრაქტიკული გამოყენებისთვის, კერძოდ, კითხვარის შემუშავების, მონაცემების შეგროვების და ანალიზისთვის პროგრამული უზრუნველყოფის, Excel - ის, SPSS - ის ან ორივეს ერთად გამოყენებით.

ასევე, საჯარო პოლიტიკის კურსი კითხვებს აჩენს მისი სწავლის შედეგების მიღწევადობასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, ერთადერთი სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკის განზომილების სირთულეებთან არის 2018 წელს სახელმძღვანელო, რომელიც შეზღუდულად მოიცავს საჯარო პოლიტიკის და პოლიტიკის ანალიზის საკითხებს, განსაკუთრებით პოლიტიკის ანალიზის საკითხებს. დგინდება, რომ რთული თემებისთვის გამოყოფილი დრო არ არის საკმარისი. მაგალითად, მრავალსაფეხურიანი პოლიტიკის ანალიზი განხილულია მხოლოდ ერთი ლექციის

ფარგლებში. აღნიშნული შეზღუდული დრო სტუდენტებისთვის ართულებს პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგიების გააზრებას და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი (შედეგი 3) პირდაპირ მოითხოვს სტუდენტებისგან "შეიმუშავონ გადაწყვეტილებები რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტების გათვალისწინებით". არსებული სტრუქტურა უბრალოდ არ ითვალისწინებს საკმარის დროს იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოიმუშავონ აღნიშნული აუცილებელი ანალიტიკური უნარები და გამოიყენონ რეალური პოლიტიკის პრობლემების გადასაჭრელად.

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო სრულად შეეფასებინა თუ რამდენად კარგად განხორციელდებოდა თითოეული კურსის სწავლის შედეგების შეფასება. აღნიშნული ეხება საბოლოო გამოცდებს, რომლებიც ჯერ არ შემუშავებულა და გადამწყვეტი იქნება სტუდენტების მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად.

სილაბუსების უმეტესობა მოიცავს უახლეს სავალდებულო საკითხავ და დამატებით მასალებს, რომლებიც შეესაბამება როგორც კურსის შინაარსს, ისე დარგში არსებულ თანამედროვე პროფესიულ პრაქტიკას. გამონაკლისს წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის კურსი, რლისთვისაც სასარგებლო იქნებოდა ძირითად საკითხავ მასალებში ახალი კვლევების და შემთხვევების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა;
- კურსის / საგნის სილაბუსები;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, განხორციელდეს კვლევის მეთოდების კურსის რესტრუქტურიზაცია. კერძოდ, გაფართოვდეს პროგრამული ანალიზის სწავლება Excel - ის და SPSS - ის გამოყენებით. აეევე, შესაძლებელია მხოლოდ Excel - ის ან SPSS - ის პრაქტიკული სწავლება, სადაც მინიმუმ 2 - 3 ლექცია დაეთმობა პრაქტიკულ გამოყენებას.

- რეკომენდებულია, ძირითადი ლიტერატურის გამრავალფეროვნება და ძირითად საკითხავ მასალაში პოლიტიკის შემთხვევების შესწავლის გათვალისწინება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების თემები.
- სასურველია, შეიცვალოს "ინოვაციური მენეჯმენტის" კურსის სახელწოდება და ეწოდოს "ინოვაციათა მენეჯმენტი".

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	X	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების, თვითშეფასების ანგარიშის და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები შეესაბამება კანონმდებლობას და პროგრამის მახასიათებლებს.

დაშვების მოთხოვნებია: ა)საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი ეკვივალენტი; ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად); გ) პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება. ზემოაღნიშნული სრულად შეესაბამება პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების მიღებას, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის დაუფლებისთვის აუცილებელი შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. გარდა ამისა, მიღების წინაპირობები ლოგიკურად ასახავს განათლების შესაბამის დონეს, სწავლის შედეგებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

"საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე მობილობით მიღება შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე უცხოეთის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღება ან გადმოყვანა ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- პროგრამა
- https://eeu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების, თვითშეფასების ანგარიშის და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ფარგლებში ორგანიზებულ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში, სემინარებში, მასტერკლასებში და ა.შ., რომლებიც მიმართულია სტუდენტების სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "სტუდენტური პროექტების დაფინანსების პოლიტიკა", რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სამეცნიერო კვლევის განხორციელებისთვის შეფერისი პირობების და მოტივაციის შექმნას, ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფას, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენას.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, კერძოდ, სასწავლო პრაქტიკას (7 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომს (8 კრედიტი). "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის სასწავლო პრაქტიკის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები / ხელშეკრულებები როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორთან და აქტიურად თანამშრომლობს მათთან. უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკული სწავლება სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, ზემოაღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობს შესაბამისი ორგანიზაციის კვალიფიციური სპეციალისტი და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წარმომადგენელი, რომელიც ასევე პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგს ახორციელებს. მემორანდუმების უმეტესობა გაფორმებულია 5 წლამდე ვადით და მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას. თითოეული მემორანდუმი მკაფიოდ აღწერს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები, მსჯელობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეეხება უნივერსიტეტის ზოგად მონაცემებს და არ იქნება წარმოდგენილი კონკრეტული ინფორმაცია. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების და განათლების დონის შესაბამისად, შეძლებს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო - კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- "სტუდენტური პროექტების დაფინანსების პოლიტიკა" https://eeu.edu.ge/portfolio/regulations-for-students/?lang=en

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/	X	☐	☐	☐

შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება		

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტების, თვითშეფასების ანგარიშის და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს სწავლების და სწავლის მეთოდებს და აქტივობებს, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ თემატურ შინაარსზე. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება კურსის დონეს, ასევე თითოეული კურსის მიზნებს და შინაარსს, რაც უზრუნველყოფს კურსის სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. დამატებით, აღნიშნული მეთოდების ერთობლივად გათვალისწინება ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული ფართო სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის ლექციები, ჯგუფური მუშაობა, სემინარები, ელექტრონული სწავლება, პრაქტიკული სესიები და სხვა. სწავლების მეთოდები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, როგორიცაა:

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი;

საკითხავი დავალებები;

წერითი დავალებები;

ზეპირი განმარტება;

დემონსტრირება;

შემთხვევის შესწავლის ანალიზი;

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლა;

როლური თამაშები;

სიტუაციური თამაშები;

გონებრივი იერიში;

ევრისტიკული მეთოდი;

თანამშრომლობითი მუშაობა;

დისკუსია/ დებატები;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა;

პროექტის შემუშავება;

პრეზენტაცია (მაგ. ზეპირი, PowerPoint);

პრაქტიკული მიდგომები.

სტუდენტები ასევე ერთვებიან დამოუკიდებელი სწავლის დავალებებში, როგორიცაა ესეების, ანგარიშების, პროექტების და პრეზენტაციების მომზადება, ასევე დისკუსიებში და დებატებში მონაწილეობა, რაც მათ საშუალებას აძლევს წარმოაჩინონ ეთიკური პრინციპების გაგება და არგუმენტების აგების უნარი.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლიათ აღნიშნული მეთოდებიდან შეარჩიონ ერთი ან რამდენიმე მეთოდი ან შემოიტანონ დამატებითი აქტივობები, კონკრეტული სასწავლო მიზნების, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების და კულტურული ფონის გათვალისწინებით. უნივერსიტეტს დადგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები, რომლებიც არეგულირებს აღნიშნული გეგმების შემუშავებას და უზრუნველყოფს სტუდენტების მრავალფეროვანი მახასიათებლების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეიძლება მორგებული იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე, გაცვლითი პროგრამების მონაწილეებზე, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსულ სტუდენტებზე, მსჯავრდებულ პირებზე ან სტუდენტებზე, რომლებსაც აქვთ აკადემიური გამოწვევები ან დემონსტრირებენ გამორჩეულ აკადემიურ მოსწრებას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის თითოეული კურსის სილაბუსი აღწერს კურსის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ მეთოდებს, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს საგანმანათლებლო კანონმდებლობას, კერძოდ მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად, რომელიც არეგულირებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების გაანგარიშებას. აღნიშნული საკანონმდებლო საფუძველი უზრუნველყოფს, რომ ყველა შეფასების პროცედურა ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში. სისტემის მიერ კრედიტების გაანგარიშების მეთოდოლოგიასთან ერთად შუალედური და საბოლოო შეფასებების განხორციელება, შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნულ მოთხოვნებს, რაც დემონსტრირებს კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

შეფასების სისტემა ავლენს განსაკუთრებულ გამჭვირვალობას რამდენიმე ძირითადი მექანიზმის მეშვეობით. ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტები იღებენ სრულყოფილ ინფორმაციას მათი შეფასების ყველა ასპექტის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ფორმალურად ასახულია კურსის

სილაბუსებში და მოიცავს შეფასების კომპონენტების, ქულების განაწილების და მინიმალური კომპეტენციის ზღვრების დეტალურ ჩაშლას. გამჭვირვალობა ვრცელდება შეფასების მეთოდების მკაფიო აღწერაზე, რომლებიც მოიცავს ზეპირ და წერით გამოცდებს, პროექტებს და პრაქტიკულ მუშაობას.

შეფასების სისტემის საიმედოობა უზრუნველყოფილია შეფასებისადმი გულდასმით სტრუქტურირებული მიდგომით. სისტემაში გამოყენებულია უწყვეტი შეფასების პრინციპი, რომელიც მოიცავს მრავალჯერადი შეფასების ქულებს სემესტრის განმავლობაში. აღნიშნული მიდგომა თავიდან იცილებს ერთჯერად შეფასებებზე დამოკიდებულებას და სტუდენტებს აძლევს რამდენიმე შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი ცოდნა და უნარები. სხვადასხვა შეფასების მეთოდების გამოყენება, მათ შორის ზეპირი გამოცდები, წერითი ტესტები, პროექტები, ესეები, დემონსტრირებები, პრეზენტაციები, დისკუსიები, პრაქტიკული და თეორიული დავალებები, უზრუნველყოფენ სტუდენტების შესაძლებლობების ყოვლისმომცველ შეფასებას.

სისტემის საიმედოობა კიდევ უფრო გაძლიერებულია თითოეული შეფასების კომპონენტისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვრების დადგენით. აღნიშნული ზღვრები გულდასმით არის განსაზღვრული, საბოლოო შეფასების ზღვარი არ აღემატება საბოლოო შეფასების 60% - ს, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი დაბალანსებულ მიდგომას. ერთი შეფასების კომპონენტის (შუალედური ან საბოლოო) საფუძველზე კრედიტების მინიჭების აკრძალვა კიდევ უფრო სანდოს ხდის შეფასების პროცესს.

ლექტორები შეფასებისას ითვალისწინებენ აკადემიურ და კვლევით ეთიკას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის საკითხებს. ლექტორები, კურსის დაწყებამდე სტუდენტებს მკაფიოდ აცნობენ აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნებს და რეგულარულად ახსენებენ აკადემიური კეთილსინდისიერების მოლოდინებს. აკადემიური არაკეთილსინდისიერების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კურსის სილაბუსებში გათვალისწინებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები. ასვე, გამოიყენება დავალებების მრავალფეროვანი თემები, რომლებიც მოითხოვს ორიგინალურ აზროვნებას და პირად ანალიზს. ლექტორებს შეუძლიათ პლაგიატზე დავალებების შემოწმება ჩაშენებული ინსტრუმენტების მეშვეობით, რომლებიც ინტეგრირებულია "Microsoft Teams Office 365 A1" - ში (Turnitin - ის სისტემა). სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია მსგავსების ანგარიშები. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ურუნველყოფს სტუდენტების შეფასებას ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენებით, ძირითადად "Microsoft Teams"-ის

მეშვეობით. აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევითი ეთიკის გათვალისწინება განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკით (კვლევითი ეთიკის სტანდარტი, აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი და ა.შ.).

შეფასების სტრუქტურა აგებულია შეფასების ჯამურ 100 ქულაზე, რომელიც განაწილებულია შუალედურ და საბოლოო შეფასებებს შორის. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს შეფასების მკაფიო და გაზომვად საფუძველს. თითოეულ შეფასების კომპონენტს მინიჭებული აქვს კონკრეტული ქულა, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და სამართლიანობას სხვადასხვა შეფასების ელემენტების წონაში. შეფასების სისტემა შედგება დადებითი და უარყოფითი შეფასებებისგან, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებით.

შეფასების სისტემის სამართლიანობის კომპონენტი დემონსტრირებულია FX შეფასებების და დამატებითი გამოცდების შესაძლებლობების მართვით. სისტემა უზრუნველყოფს დამატებითი გამოცდების მკაფიო და დროში შეზღუდულ პროცესს, რომელთა დაგეგმვა ხორციელდება საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ეძლევათ დროული შესაძლებლობა წარმოაჩინონ თავიანთი კომპეტენცია. დროითი შეზღუდვების გარდა, შეფასება არ არის დამოკიდებული წინა საბოლოო გამოცდის ქულაზე და დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება რჩება საბოლოო შეფასებად.

შეფასების სისტემა ინარჩუნებს აკადემიურ კეთილსინდისიერებას იმის მოთხოვნით, რომ ყველა შეფასება უნდა დასრულდეს კურსის განხორციელების სემესტრში. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნის დაფასებას მაშინ როდესაც მასალა ახალი და რელევანტურია, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის საერთო საიმედოობას.

პროგრამაში შემუშავებული უკუკავშირის სისტემა სტუდენტებს მათი აკადემიური მოსწრების და განვითარების შესახებ აწვდის ინფორმაციას. ლექტორები სტუდენტებს აწვდიან კონკრეტულ უკუკავშირს კურსის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. აღნიშნული უკუკავშირი სტუდენტებს ეხმარება გაიგონ მათი მიღწევების მიმდინარე დონე კურსის მიზნების და პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. უკუკავშირი პირდაპირ კავშირშია კურსის სილაბუსებში დადგენილ შეფასების კრიტერიუმებთან და სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებთან შესაბამისობას.

პროგრამა ინარჩუნებს შეფასების შედეგების მკაფიო და ხელმისაწვდომ გასაჩივრების სისტემას. შიდა წესების თანახმად, სტუდენტს უფლება აქვს, შედეგის გამოქვეყნებიდან 2 დღის ვადაში ელექტრონული პლატფორმის პირადი გვერდიდან მიმართოს საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს ნაშრომის გადახედვა და შედეგების შემოწმება. ცენტრი ვალდებულია განცხადების / საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს სტუდენტის მიერ ნაშრომის გაცნობა. ნაშრომის გადახედვის შემდეგ, თუ სტუდენტი არ ეთანხმება შეფასებას, ნაშრომი შესაფასებლად გადაეცემა შესაბამის ლექტორს 2 სამუშაო დღის ვადაში. ლექტორი ვალდებულია დასკვნა გასაჩივრებული ნაშრომის შესახებ დაუბრუნოს საგამოცდო ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელს 2 სამუშაო დღის ვადაში, რომელშიც უნდა აისახოს სტუდენტის შეფასების შეცვლის ან არ შეცვლის საფუძველი. გარდა ამისა, სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება გასაჩივრების შედეგს, უფლება აქვს შედეგების გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო ცენტრს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით და მოითხოვოს ნაშრომის გასწორება შესაბამისი სააპელაციო კომისიის მიერ. უზრუნველყოფილია როგორც ზეპირი, ისე წერითი გამოცდის კომპონენტების გასაჩივრების შესაძლებლობა. ზოგადად, გასაუბრების დროს მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ გასაჩივრების პროცედურებს.

ყოველ სემესტრში ხორციელდება სტუდენტების რეგულარული შეფასებები, რომელიც მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე შემაჯამებელ შეფასებებს. მონაცემთა შეგროვებასი და ანალიზში ძირითადად მონაწილეობს აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის განმავითარებელი კომიტეტი. უკუკავშირი კურსის შესახებ გროვდება გამოკითხვების მეშვეობით, რომელიც ეხება როგორც შინაარსის მიწოდებას, ისე სწავლების ეფექტურობას. ანალიზი ავლენს სწავლების ეფექტურობის და სტუდენტების შედეგების ტენდენციებს და კანონზომიერებებს. გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენა ხორციელდება ყველა ხელმისაწვდომი მონაცემის გულდასმით შესწავლის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- გამოცდის ჩატარების წესი;
- კვლევის ეთიკის სტანდარტი;
- აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი;
- აღმოსავლეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა - მექანიზმები;

- სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის შეფასების კითხვარი;
- საბაკალავრო ნაშრომის დასრულებით კმაყოფილების კითხვარი;
- ვებ - გვერდი https://eeu.edu.ge/
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან

საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტები სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. "ერთი ფანჯრის" პრინციპის დანერგვა ახალი სტუდენტების ორიენტაციისთვის უზრუნველყოფს სრულყოფილ საწყის მხარდაჭერას. ელექტრონული სწავლების მართვის სისტემა (EEU-EL) წარმოადგენს აკადემიური მართვის ცენტრალურ პლატფორმას, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროგრამების, გამოცდების განრიგისა და შეფასებების შესახებ, ამავდროულად ამარტივებს კომუნიკაციას ადმინისტრაციასთან და პროფესორ-მასწავლებლებთან.

უნივერსიტეტი იყენებს "Microsoft Teams Office 365 A1"-ს, როგორც დამატებით საკომუნიკაციო პლატფორმას, რომელსაც ემატება პირადი და კორპორატიული ელექტრონული ფოსტის სისტემები, სატელეფონო შეტყობინებები და სოციალური მედიის არხები. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია ონლაინ ჩატის ფუნქცია დაუყოვნებელი კონსულტაციის საჭიროებისთვის. რეგულარული თემატური შეხვედრები ყოველი სემესტრის დასაწყისში უზრუნველყოფს სტუდენტებს განახლებული ინფორმაციით ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ და უკუკავშირის შესაძლებლობებს იძლევა. ვიზიტის დროს ნაჩვენები იყო, თუ როგორ ფუნქციონირებს "Teams"-ის ოთახები, როგორც ხელმისაწვდომი სივრცეები სტუდენტ-ლექტორ-ფაკულტეტის ურთიერთობისთვის, რომლებიც უზრუნველყოფს დაუყოვნებელ და სტრუქტურირებულ მხარდაჭერის არხებს. დაკვირვებამ აჩვენა, თუ როგორ არის "Teams"-ის ფუნქციები განსაკუთრებით ღირებული ორგანიზებული დოკუმენტაციის შენარჩუნებისა და სასწავლო რესურსებზე მარტივი წვდომის უზრუნველსაყოფად.

ინსტიტუცია ინარჩუნებს ინფორმაციის გავრცელების შესანიშნავ სტანდარტებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მეშვეობით. ფაკულტეტის წევრები იცავენ საკონსულტაციო საათების

განრიგს, რომელიც სათანადოდ არის დოკუმენტირებული და მიწოდებული სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის სილაბუსები მოიცავს სრულ საკონტაქტო ინფორმაციას ყველა პედაგოგისთვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალურ საკონსულტაციო სერვისებს, ხოლო Microsoft Teams-ის ვირტუალური საკონსულტაციო ოთახები დისტანციურ პირობებშიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას.

საინფორმაციო რესურსები ყოვლისმომცველი და ადვილად ხელმისაწვდომია, მათ შორის დეტალური სტუდენტური სახელმძღვანელოები, პროგრამების კატალოგები და სასწავლო პროგრამის დოკუმენტაციაც. სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპები მხარს უჭერს საუნივერსიტეტო სერვისებისა და სისტემების სხვადასხვა ასპექტს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მიღებას მათთვის სასურველი ფორმატით.

ინსტიტუცია საუკეთესოდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინტეგრაციას საუნივერსიტეტო გარემოში. სტრუქტურირებული საორიენტაციო პროგრამა ახალ სტუდენტებს საგანმანათლებლო გარემოს აცნობს, ხოლო რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები ინარჩუნებს ჩართულობას მთელი აკადემიური წლის განმავლობაში. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებების მიმართ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენის მქონე სტუდენტებისთვის, მობილობისა და საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

საინტეგრაციო ძალისხმევა სცდება აკადემიურ მხარდაჭერას და მოიცავს სოციალურ და კულტურულ განზომილებებს სხვადასხვა საუნივერსიტეტო კლუბებისა და გაერთიანებების მეშვეობით. შიდა სტაჟირების პროგრამა, სტუდენტებს, საუნივერსიტეტო გარემოში პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად ღირებულ შესაძლებლობებს აძლევს. სტუდენტური სერვისების დეპარტამენტი კარიერული განვითარების ყოვლისმომცველ სტრატეგიას ახორციელებს, რომელიც დამსაქმებლებთან სტრატეგიული თანამშრომლობით უწყვეტი საბაზრო კვლევისა და ურთიერთობების განვითარების გზით იწყება. ეს პროაქტიული მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამებისა და ინდუსტრიის საჭიროებების შესაბამისობას, რაც აძლიერებს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტი ინარჩუნებს ორ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ორგანოს, რომლებიც იცავენ სტუდენტების ინტერესებსა და უფლებებს: სტუდენტური თვითმმართველობა და ომბუდსმენის ოფისი. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტური საზოგადოების მთავარ

წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც აძლიერებს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ეს ინსტიტუცია საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, წამოიწყონ კამპუსის მასშტაბით აქტივობები და წვლილი შეიტანონ აკადემიური პოლიტიკის განვითარებაში. სტუდენტებს არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით შეუძლიათ დაიცვან თავიანთი თანატოლების ინტერესები და მოაწყონ სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური ღონისძიებები, რომლებიც აუმჯობესებს კამპუსის ცხოვრებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობს ომბუდსმენის ოფისის სერვისებს, რომელიც ფუნქციონირებს როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ორგანო, და მიმართულია სტუდენტთა უფლებების დაცვისა და სტუდენტების პრობლემების მოგვარებისკენ.

კარიერის მხარდაჭერის სერვისები მოიცავს კარიერული დაგეგმვის ინდივიდუალურ სესიებს, სააპლიკაციო დოკუმენტების მომზადებაში სრულყოფილ დახმარებას,, გასაუბრებისთვის მომზადებას და დარგზე მორგებულ კარიერულ კონსულტაციებს. ამ სერვისებს ემატება პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა ორგანიზებული დასაქმების ფორუმებისა და კარიერული ღონისძიებების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს პირდაპირ კომუნიკაციას პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ამ მიდგომის ეფექტურობა გაძლიერებულია ინსტიტუციის პარტნიორი ორგანიზაციების ფართო ქსელით, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან შესაძლებლობებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სისტემა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ მომსახურებას ინდივიდუალური კონსულტაციების, ჯგუფური თერაპიის სესიების, სტრესის მართვის მხარდაჭერისა და სოციალური ადაპტაციის დახმარების მეშვეობით. ფინანსური მხარდაჭერის ჩარჩო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხელმისაწვდომობას მოქნილი გადახდის სისტემების, დამსახურებაზე დაფუძნებული სტიპენდიების, საჭიროებებზე დაფუძნებული ფინანსური დახმარებისა და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის განსაკუთრებული პირობების მეშვეობით. მოსწრებაზე დაფუძნებული წახალისება და გადახდის ინდივიდუალური დაგეგმვის შესაძლებლობები უზრუნველყოფს, რომ ფინანსური ბარიერები არ აფერხებდეს აკადემიურ პროგრესს.

სტუდენტებს აქვთ წვდომა ადგილობრივ ჩართულობის შესაძლებლობებზე, მათ შორის კვლევით ცენტრებში მონაწილეობაზე, შიდა სასტუდენტო პროექტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტურ კვლევებს სამეცნიერო შრომათა კრებულში პუბლიკაციის

შესაძლებლობებით და უზრუნველყოფს სტუდენტური პროექტების დაფინანსებას დამკვიდრებული საგრანტო მექანიზმების მეშვეობით. რაც შეეხება საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მობილობის პროგრამების ფართო სპექტრს, როგორც ორმხრივი ხელშეკრულებების, ისე ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში. თუმცა, პანდემიით გამოწვეული ბოლოდროინდელი დაბრკოლებების გათვალისწინებით, ჩვენ ვურჩევთ დაწესებულებას შეისწავლოს ვირტუალური მობილობის შესაძლებლობები იმ შემთხვევისთვის, თუ ქვეყნებს დაუწესდებათ სამოგზაურო შეზღუდვები პანდემიის ან მსგავსი საფრთხეების გამო. ვირტუალური მობილობა გულისხმობს ციფრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვა ადგილებში მდებარე დაწესებულებების მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო აქტივობებში, ამ დაწესებულებებში ფიზიკურად გამგზავრების გარეშე. ეს შეიძლება მოიცავდეს ონლაინ კურსებს, ვირტუალური გაცვლის პროგრამებს, ერთობლივ პროექტებს ან თუნდაც დისტანციურ სტაჟირებებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს დაუკავშირდნენ უცხოელ სტუდენტებსა და პროფესორებს. ვირტუალური მობილობის შესაძლებლობების დანერგვა შესაძლოა დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერების ეფექტური ინსტრუმენტი გახდეს.

დაწესებულებას აქვს სტუდენტებისთვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ეფექტური სისტემები. რეგულარული განახლებები გაცვლითი პროგრამების, ზაფხულის/ზამთრის სკოლების, კონფერენციების, დასაქმების ფორუმებისა და კვლევითი შესაძლებლობების შესახებ ვრცელდება მრავალი არხის მეშვეობით. უნივერსიტეტის ვებგვერდი და სწავლების ელექტრონული მართვის სისტემა წარმოადგენს ინფორმაციის მთავარ პლატფორმებს, რომლებსაც ავსებს ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია და სოციალურ მედიაში განთავსებული განცხადებები.

სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა ყოვლისმომცველი და კარგად სტრუქტურირებულია. აკადემიური პერსონალი რეგულარულად ატარებს საკონსულტაციო საათებს და კომუნიკაციის სხვადასხვა არხის მეშვეობით არის ხელმისაწვდომი. პროგრამის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს პირდაპირ მხარდაჭერას აკადემიურ და ორგანიზაციულ საკითხებში კარიერული განვითარების სერვისები სთავაზობს სპეციალიზებულ კონსულტაციებს, ხოლო კვლევითი ხელმძღვანელობის შესაძლებლობები ხელს უწყობს აკადემიურ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- •საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი“,
- სამუშაოს აღწერილობები - ფაკულტეტი (დანართი N16);

- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესები;
- უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები/სტაჟირების შესაძლებლობები (დანართი N8);
- გეგმა - ორიენტაციის დღეები, კვლევის უნარების ამაღლება (დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები - დანართი 1);
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულება
- ინფორმაცია ომბუდსმენის ოფისის შესახებ - https://eeu.edu.ge/portfolio/studenturi-ombudsmeni/
- ელექტრონული პლატფორმა - Microsoft Teams Office 365 A1;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (EEU-EL) https://stud.eeu-el.ge/login?returnUrl=%2F
- ვებგვერდი https://eeu.edu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შესწავლილი და შეთავაზებული იქნეს ვირტუალური მობილობის შესაძლებლობები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეესაბამება შესაფასებლად წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგენილია, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილია 36 აკადემიური პერსონალი (9 მოწვეული), რომელთაგან 14 არის აფილირებული.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, ისევე როგორც ლექტორთა რაოდენობა ზოგადად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. უნივერსიტეტში არსებობს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული "აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი", რომელიც დეტალურად განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების პროცედურასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული წესის თანახმად, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა მიიღება ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსი საჯაროდ ცხადდება როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე დასაქმების პორტალებზე, როგორიცაა www.jobs.ge ან/და www.hr.ge. საკონკურსო კომისია კონკურსანტებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, გ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, დ) ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სამეცნიერო სტიპენდიები, გრანტები, გამოგონებები და სხვა პროფესიული აქტივობები; ე) ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა; ვ) წარმოდგენილი სილაბუსის შინაარსი, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობა. მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, წარმოდგენილი დიპლომები და სერტიფიკატები ადასტურებს მათ მაღალ კვალიფიკაციას, შესაბამის ცოდნას, გამოცდილებასა და კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში დასახმარებლად.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ინსტრუქცია, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს: საგანმანათლებლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, საკონსულტაციო საათებს, უნივერსიტეტის ღონისძიებებში მონაწილეობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროგრამების რაოდენობრივი მაჩვენებლების კვლევას/ანალიზს, მათ შორის ლექტორთა დენადობის მაჩვენებლის, და იყენებს შედეგებს პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად. ეს დასტურდება, სხვა დოკუმენტებთან ერთად, თვითშეფასების ანგარიშის დანართით.

უნივერსიტეტს ასევე შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კომპენსირების ბონუსური სისტემა. ეს მექანიზმი შექმნილია აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო და კვლევით სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა აქტივობის მხარდასაჭერად და წასახალისებლად. ამავდროულად, ბონუსური სისტემით სარგებლობა შეუძლიათ მოწვეულ პერსონალსაც და ამ მიდგომით უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას.

რაც შეეხება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებს, მას ასევე ახორციელებს კომპეტენტური აკადემიური პერსონალი, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული პროგრამის შემუშავების პროცესში და ასევე, თავიანთი ფუნქციებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ინტენსიურ მონაწილეობას პროგრამის განხორციელებისა და შეფასების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და აქტიურად მონაწილეობენ დარგის განვითარების აქტივობებში. მათი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და დარგში არსებული გამოცდილებით.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამსახურები და დამხმარე პერსონალი.

ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიან დეკანი, დეკანის მოადგილე, კოორდინატორები. პროგრამის სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საჭირო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა. ამასთან, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია კარგად შეესაბამება მათ შესაბამის როლებსა და პასუხისმგებლობებს.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას ფაკულტეტებზე ყოველსემესტრულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგი, ასევე სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვები და შედეგების ანალიზი. შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი და სხვა ადმინისტრაციული პერსონალი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	36	36	30	14
- პროფესორი	11	11	11	7
ასოცირებული პროფესორი	13	13	12	5
- ასისტენტ–პროფესორი	3	3	1	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	6	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

ვიზიტის დროს და ცხრილში მოცემული მონაცემების საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით. ამასთან, აკადემიურ პერსონალს შორის ბალანსი, როგორც აფილირებული, ისე მოწვეული პერსონალის ჩათვლით, უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- კონტრაქტის ნიმუში,
- აკადემიურ პოზიციებზე კონკურსის ჩატარების წესი –https://shorturl.at/jknMS
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესები; https://shorturl.at/luEJQ
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება ამ სასწავლო პროგრამას

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი, თავისი პოლიტიკის "აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის" შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს ყველა მასწავლებლის შეფასებას, როგორც მუდმივი, ისე მოწვეული პერსონალის ჩათვლით. შემდგომ, კვლევითი განყოფილების მიერ ხდება ამ შეფასების შედეგების ანალიზი და ინტეგრირება დაწესებულების სხვადასხვა დაგეგმვის პროცესებში. შეფასების პროცესი მოიცავს სემესტრულ შეფასებებს სამი ძირითადი პერსპექტივიდან: სტუდენტების უკუკავშირი კითხვარების მეშვეობით, ფაკულტეტის დეკანების შეფასებები და პროგრამის ხელმძღვანელების შეფასებები. საბოლოო წლიური შეფასება აერთიანებს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ისე სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, რომლის შედეგებსაც აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უგზავნის შესაბამის დეპარტამენტებს სათანადო რეაგირებისთვის. პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ დაადასტურა შეფასების ეს პროცესი; როგორც მუდმივმა აკადემიურმა, ისე მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ იღებენ სრულყოფილ წლიურ შეფასებებს შესრულებული სამუშაოს შესახებ.

აღნიშნული შეფასებები ეხმარება მათ სამომავლო სასწავლო და კვლევითი საქმიანობის დაგეგმვაში. შეფასების შედეგები პირდაპირ განსაზღვრავს უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებს პერსონალის სხვადასხვა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში მონაწილეობის შესახებ. როდესაც პერსონალის წევრების ყოველწლიური შეფასებისას გამოვლინდება გასაუმჯობესებელი სფეროები, მათი ძალისხმევა იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად მიემართება შესაბამისი ტრენინგ-პროგრამებისა და განვითარების ინიციატივებისკენ, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესში გამოვლენილი კონკრეტული სფეროების გაუმჯობესებას. წლიური შეფასების შედეგები, რომლებიც აერთიანებს როგორც აკადემიურ საქმიანობას, ისე სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, წარმოადგენს მთავარ საფუძველს პერსონალის შენარჩუნებისა და/ან

აკადემიური წინსვლის გადაწყვეტილებებისთვის. ეს შეფასებები - რომლებიც ეფუძნება სტუდენტთა უკუკავშირს, დეკანების შეფასებებსა და პროგრამის ხელმძღვანელების მიმოხილვებს - უზრუნველყოფს უნივერსიტეტს მონაცემებით სასწავლო კონტრაქტების განახლების ან აკადემიური წინსვლის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

გასაუბრების დროს უნივერსიტეტმა ასევე აჩვენა პერსონალის განვითარებისადმი ერთგულება სხვადასხვა ინიციატივებითა და საერთაშორისო პარტნიორობით. როგორც პირველი ქართული კერძო უნივერსიტეტი, რომელმაც მოიპოვა სრული წევრობა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციაში (EUA) და ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემიაში (Advance HE), ის თავის პერსონალს სთავაზობს სხვადასხვა პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, როგორიცაა დისტანციური სწავლება, შეფასების მეთოდები, პროგრამის დაგეგმვა და განვითარება, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენება და სხვა. ბოლოდროინდელ მაგალითებად შეიძლება დასახელდეს ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემიის მიერ ჩატარებული სამთვიანი სატრენინგო ციკლი, სესიები ციფრულ პედაგოგიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას, სასწავლო პროგრამების განვითარება და შედეგების რუკის შედგენა და სხვა. გამოკითხული პერსონალის თანახმად, ეს ტრენინგები თანაბრად ხელმისაწვდომი იყო როგორც აკადემიური, ისე მოწვეული წევრებისთვის.

დაწესებულება ასევე აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის კვლევით საქმიანობას სხვადასხვა მხარდამჭერი მექანიზმების მეშვეობით, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი საგრანტო პროგრამით, რომლის ბიუჯეტი 60,000 ლარს შეადგენს. უნივერსიტეტი კიდევ უფრო აძლიერებს პერსონალის განვითარებას რეგულარული პროფესიული ტრენინგ-სესიების მეშვეობით. ეს მოიცავს სემინარებს საერთაშორისო აკადემიურ ბაზებზე წვდომის შესახებ (როგორიცაა Lexis-Nexis, Elsevier და EIFL), გზამკვლევს SCOPUS-ისა და Thomson Reuters-ის ინდექსირებულ ჟურნალებში პუბლიკაციის შესახებ და ტრენინგებს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, მათ შორის პლაგიატის პრევენციას Turnitin-ის გამოყენებით. საერთო ჯამში, ეს ინიციატივები ქმნის ყოვლისმომცველ მხარდამჭერ სისტემას პერსონალის კვლევითი საქმიანობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი
- თვითშეფასების ანგარიში

- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის მუდმივ აკადემიურ და მოწვეულ წევრებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამ ოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ზე მდებარე უნივერსიტეტში, რომლის კამპუსის საერთო შენობის ფართობია 4,749.3 კვადრატული მეტრი, მათ შორის 2,165.9 კვადრატული მეტრი სასწავლო სივრცე (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ფაკულტეტის სამუშაო სივრცეები) და 2,583.4 კვადრატული მეტრი არასასწავლო სივრცე (საკონფერენციო დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული სტადიონი). ეზო მოიცავს

8287 კვადრატულ მეტრს გარე საქმიანობისთვის. კამპუსი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის და აკმაყოფილებს სანიტარულ და ჰიგიენურ სტანდარტებს, რაც ქმნის ხელშემწყობ გარემოს როგორც აკადემიური, ისე რეკრეაციული მიზნებისთვის. უნივერსიტეტს აქვს ახალი და თანამედროვე სტილის შენობა, რომელიც ლამაზადაა მოწყობილი. აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორიცაა სმარტ დაფები, პროექტორები და კომპიუტერები, რაც სწავლას ინტერაქტიულსა და საინტერესოს ხდის. მაღალსიჩქარიანი Wi-Fi ხელმისაწვდომია მთელ კამპუსში, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ადვილად დარჩნენ კავშირზე. გარდა ამისა, VPN სერვისები სტუდენტებს საშუალებას აძლევს წვდომა მიიღონ ბიბლიოთეკის რესურსებზე სახლიდან, რაც უზრუნველყოფს, სტუდენტების ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილიდან სწავლას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერას ქართულ და უცხოენოვანი თანამედროვე წიგნების შეთავაზებით. წიგნების მარაგი მოიცავს პროგრამის სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურას, ასევე სალექციო მასალებს, რიდერებს და სხვა სასწავლო რესურსებს, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში. ბიბლიოთეკის მასალები ყოველწლიურად (ან საჭიროებისამებრ) ახლდება კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი სახელმძღვანელოებით, სხვადასხვა სახის ლიტერატურასთან ერთად. სტუდენტებს შეუძლიათ წვდომა სამეცნიერო ჟურნალებში როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდურ ფორმატში, ასევე საერთაშორისო ელექტრონულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი არის გაერთიანებული სამეფოს მკვლევართა განვითარების პროგრამის (Vitae) წევრი და უზრუნველყოფს სასწავლო მასალების, კვლევითი პროექტებისა და მოხსენებების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმი ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან, რომელიც საშუალებას აძლევს მათ კოლექციებიდან წიგნების გაზიარებას და სესხებას.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა და დაადასტურა სამეცნიერო ბაზებსა და სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობა, აღნიშნული ადასტურებს, ყველა რესურსის გამართულ ფუნქციონირებას და სასწავლო პროგრამის საჭიროებების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, შეხვედრების დროს გაირკვა, რომ ყველა სტუდენტი ფლობს ინფორმაციას უსდ-ში არსებული რესურსების და მათი სწავლისთვის გამოყენების შესახებ; ასევე, სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც დიდი კმაყოფილება გამოხატეს უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების თაობაზე.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალმა ხარისხმა, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მიზანდასახულობას უზრუნველყოს შესანიშნავი საგანმანათლებლო გარემო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი - იხილეთ ბმული: https://eeu.edu.ge/lib/opac/
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები - იხილეთ ბმული: https://shorturl.at/gqOP9
- სწავლების მართვის ელექტრონული პლატფორმა - EEU-EL (იხ. https://edu.eeu-el.ge/)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https.eeu.edu.ge
- ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრების დროს შეგროვებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამ ოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	x	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური გეგმა, რომელშიც ასახულია შემოსავლებისა და ხარჯების პირველადი წყაროები, რაც აჩვენებს პროგრამის მდგრადობას. როგორც კერძო უნივერსიტეტს, რომელიც სთავაზობს სასწავლო პროგრამების მრავალფეროვან სპექტრს, მენეჯმენტს სჯერა საკუთარი შესაძლებლობის, სასწავლო პროცესის საერთო მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოახდინოს საკმარისი შემოსავლის გენერირება, მათ შორის კონკრეტული პროგრამის ჩათვლით. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ პროგრამის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად განიხილებოდა სხვადასხვა სცენარი. ბიუჯეტში ასევე მოცემულია სხვადასხვა სახის დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების მიმოხილვა. ბიუჯეტში მოცემულია ღირებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის წყაროების შესახებ, როგორც მუდმივი, ასევე ერთჯერადი დაფინანსების ვარიანტების ჩათვლით. ის ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო ღონისძიებები, წარმომადგენლობა საერთაშორისო აქტივობებში, სტიპენდიები და სტუდენტებისთვის დაფინანსების სხვა შესაძლებლობები, სტუდენტების მხარდაჭერა და წახალისება, საუნივერსიტეტო ღონისძიებების ორგანიზება, ბიბლიოთეკის განვითარების ხარჯები და კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, მათ შორის სამეცნიერო ინიციატივები და საგრანტო პროექტები. უნივერსიტეტი რეგულარულად აკორექტირებს და აფასებს თავის ბიუჯეტს, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად დანერგილია ფინანსური კონტროლის სისტემა.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების პროცესში გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი კარგ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს აკადემიურ პერსონალს. პერსონალის წევრები იღებენ ბონუსებს პუბლიკაციებისთვის. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია დახმარება საგრანტო განაცხადის დასაწერად, ერთი წარმატებული გრანტი უკვე წარდგენილია და კიდევ ორი მიმდინარეობს. ყოველივე ზემოაღნიშნული მხარდამჭერ გარემოს ქმნის მკვლევარებისთვის, მატი პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

მთლიანობაში, პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში თანხების განაწილება უზრუნველყოფს მის ეფექტურ ფუნქციონირებას და მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტს საკმარისი რესურსი აქვს პროგრამის წარმატებით და ეფექტურად განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფთან ადგილზე ვიზიტის დროს.
- იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტი ცალკე ფაილში

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	x	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მიჰყვება უწყვეტ „დაგეგმეგანახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელს, რომლის მიზანია ინსტიტუციური და ეროვნული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და სისტემატური გადახედვა. ეს პროცესი იწყება პროგრამის დაგეგმვით, რომლის დროსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ხუს) კონსულტაციას უწევს ფაკულტეტს, რათა კურსის კრედიტები შეესაბამებოდეს სტუდენტებისთვის მოსალოდნელ რეალურ დატვირთვას. საწყისი შემუშავების შემდეგ, პროგრამებს განიხილავს და ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აკადემიური საბჭო.

შეფასება მოიცავს მიმდინარე მონიტორინგს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირისა და გამოკითხვების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ამ ინფორმაციას მეთოდების, კურსის შინაარსის და ა.შ. გასაუმჯობესებლად. რეგულარული შეხვედრები ასევე ხელს უწყობს სწავლების პრაქტიკის დახვეწას და კურსის სილაბუსების განახლებას.

პროცესი ხაზს უსვამს გამჭვირვალობას და თანამშრომლობას ფაკულტეტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამების რელევანტურობის შენარჩუნებას და უკუკავშირზე რეაგირებას. ეს სტრუქტურირებული მიდგომა ხელს უწყობს როგორც სწავლების ხარისხის, ისე პროგრამის განვითარების უწყვეტ გაუმჯობესებას. სხვადასხვა წყაროდან მიღებული უკუკავშირი აძლიერებს შეფასების პროცესს. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ დამსაქმებლები ჩართულები არიან პროგრამის შეფასებაში.

საერთო ჯამში, ეს მიდგომა ხელს უწყობს ადაპტირებას და ინარჩუნებს მაღალ ხარისხს, რაც პროგრამას ხდის მყარს და კარგად მომზადებულს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო გამოწვევების გადასაჭრელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების წესები და პროცედურები
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები
- პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის სპეციალური ფორმა (კითხვები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორის, სილაბუსის და სხვ. შეფასებაზე).

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლები, რათა დროულად გაუზიაროს რეკომენდაციები ან წინადადებები პერსონალს და პროფესორ-მასწავლებლებს. შეფასების შედეგების განხილვა და გამოყენება მნიშვნელოვანია მუდმივი გაუმჯობესებისთვის. რეგულარული, დეტალური უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და ძალისხმევის შესაბამისობას დაწესებულების მიზნებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამ ოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მეშვეობით, ისევე როგორც დარგის ექსპერტების შეფასებების საშუალებით. ეს პროცესები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს მოახდინოს გარე უკუკავშირის ინტეგრირება პროგრამების გასაუმჯობესებლად.

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ქართველი ექსპერტის მოსაზრებები. გარე ხარისხის უზრუნველყოფისადმი აღნიშნული მიდგომა ეფექტურია, უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას ეროვნულ სტანდარტებთან და სარგებლობს ექსპერტთა მრავალფეროვანი გამოცდილებით. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა.

ექსპერტთა რჩევების უფრო ყოვლისმომცველმა გამოყენებამ შესაძლოა კიდევ უფრო გააუმჯობესოს პროგრამები. საერთო ჯამში, ეს სისტემა ხელს უწყობს უწყვეტ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტთა შეფასებები.
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეგულარულად ჩართულ საერთაშორისო გარე ექსპერტებს შეუძლიათ შემოგთავაზონ მრავალფეროვანი პერსპექტივები, რაც ხელს შეუწყობს დარგის სტანდარტებთან და გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან პროგრამის შესაბამისობას. აღნიშნული უწყვეტი წვლილი ხელს შეუწყობს პროგრამის შესაბამისობას და მუდმივ გაუმჯობესებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამ ოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის განვითარება და შეფასება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გულისხმობს აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და დამსაქმებლების მონაწილეობას. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები იძლევიან უკუკავშირს კითხვარების ან სხვა მეთოდების გამოყენებით, კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად იღებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, აკადემიური პერსონალისგან, კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან პროგრამის შესახებ მრავალფეროვანი პერსპექტივების შესაგროვებლად. ამის საფუძველზე მონაცემების მიხედვით, ხდება პროგრამის მუდმივი მონიტორინგი და განახლება მისი მოდერნიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის ხელმძღვანელები ერთად მუშაობენ აკრედიტაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, სწავლის შედეგების შესაფასებლად და წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად. უნივერსიტეტის დაფინანსება უზრუნველყოფს პროგრამის განახლებებს, კვლევას და ადმინისტრაციულ საჭიროებებს.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა შემუშავდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის შედეგად. საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა ასევე შედარდა სხვა ქართული უნივერსიტეტების საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამებთან. ამჟამად, ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში ფუნქციონირებს საჯარო

მმართველობის 14 აკრედიტებული ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომელთაგან 6 პროგრამა თბილისში ხორციელდება.

სწავლების შეფასებები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დაგეგმილია პერიოდულად სტანდარტიზებული საკლასო ოთახში დაკვირვების ინსტრუმენტის გამოყენებით, თუმცა ეს ჯერ არ განხორციელებულა ამ პროგრამისთვის, რადგან ახალი პროგრამაა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ყოვლისმომცველია და მოიცავს მრავალი დაინტერესებული მხარის ჩართულობას პროგრამის განვითარებასა და შეფასებაში. რეგულარული გამოკითხვები და უკუკავშირი უზრუნველყოფს შესაბამისობას როგორც აკადემიურ, ისე დარგობრივ სტანდარტებთან. სტუდენტები ასევე აფასებენ ხელმძღვანელებს და ა.შ.

რადგან საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახლი შექმნილია და ჯერ არ განხორციელებულა, აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად არ ყოფილა გამოყენებული. თუმცა, პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უნივერსიტეტი, ისევე როგორც სხვა აქტიური პროგრამების შემთხვევაში, სრულად დანერგავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს პროგრამის განვითარების ხელშესაწყობად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა
- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესები
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამ ოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშიამოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ავტორიზაციის წინასწარი დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საჯარო მმართველობა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშიამო თხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალი ალექსანდრა გურვიც-სუტსი (თავმჯდომარე)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ალექსანდრე კალანდაძე

თამარ ბერიშვილი

ნოდარ ხერხეულიძე

ნინო ტალიკაძე